თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. თელავი

2021 წლის 23 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1.** ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენ თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელ ორ პროექტს, კერძოდ:

1. ქალაქ თელავის აღმოსავლეთ ნაწილის განახლება ,,მშვიდობის პარკის'' მოწყობით;
2. საგანმანათლებლო მიზიდულობის არიალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის, რეკრეაციული სივრცეების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გადაწყვიტეს: ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე , დავით ღაღანიძე